Zaha Hadid-ის როლი თანამედროვე არქიტექტურის ჩამოყალიბებაში

ზაჰა ჰადიდი-თანამედროვე არქიტექტურის გამორჩეული და ბოლო დროის ყველაზე განხილვადი არქიტექტორია მისი შემოქმედებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი მთავარი რითაც იგი პირადად მე აღმაფრთოვანებს, ეს არის საოცარი გამბედაობა. იგი საკუთარ თავს აძლევს სრულ თავისუფლებას აკეთოს ყოველგვარი ექსტრავაგანტული ფორმა, დაარღვიოს წესები და უფრო მეტიც დააწესოს საკუთარი კანონები არქიტექტურასა და ცხოვრებაში.

ზაჰა ჰადიდი 1950 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა ბაღდადში, მაღალი ფენის მუსლიმურ ოჯახში. მისი მამა მდიდარი მრეწველი იყო, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობებში. 1932 წელს იგი მემარცხენე ლიბერალური პოლიტიკური ჯგუფის თანადამფუძნებელი იყო, რომელიც მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენდა 1930-40-იან წლებში. ჰადიდის დედა ხელოვანი იყო, რომელსაც განათლება ინგლისის და შვეიცარიის სკოლებში ჰქონდა მიღებული. სავარაუდოდ, სწორედ მისგან გამოყვა არქიტექტორს ნიჭი. უკვე 11 წლის ასაკში მას უნდოდა გამხდარიყო არქიტექტორი.

ბავშვიბაში დადიოა კათოლიკურ სკოლაში და მოგვიანებით განათლება გააგრძელა სკოლა-პანსიონში ინგლისში. 1972 წელს, მას შემდეგ, რაც დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში, ჩაირიცხა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ არქიტექტურულ სკოლაში AA-„არქიტექტურული ასოციაცია“ ლონდონში. ჰადიდის ერთ-ერთი პედაგოგი იყო რემ კოოლჰაასი, გამოჩენილი ჰოლანდიელი არქიტექტორი და თეორეტიკოსი, სწორედ მის არქიტექტურულ ფირმაში მუშაობდა ჰადიდი სწავლის დამთავრების შემდეგ.

ძლიერი გავლენა მასზე, როგორც არქიტექტორზე იქონია 1920-იანი წლების რუსულმა ავანგარდმა და კაზიმირ მალევიჩის შემოქმედებამ, თუმცა ჰადიდის შემოქმედებითი ენა აშკარად ინარჩუნებს ორიგინალურ ხელწერას. კოოლჰაასი ზაჰა ჰადიდს უწოდებდა "პლანეტას საკუთარ ორბიტაზე". მისი სადიპლომო ნამუშევარი ატარებს სახელწოდებას "მალევიჩის ტექტონიკი" - ეს იყო მრავალსართულიანი სასტუმროს პროექტი ჰანგერფორდის ხიდის გასწვრივ მდინარე ტემზაზე.

ზაჰა ჰადიდმა საკუთარი არქიტექტურული ფირმა „Zaha Hadid Architects“ 1979 წელს პატრიკ შუმახერთან ერთად, ლონდონში ჩამოაყალიბა. დღესდღეობით ის ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა მსოფლიოს მასშტაბით, თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ფირმებთან და გამოირჩევა ინოვაციური იდეებით. თავისი ნამუშევრებით იგი თითქოს ექსპერიმენტებს ატარებს სივრცეში, ცდილობს გასცდეს დაწესებულ საზღვრებს და ახალი პროდუქტი შესთავაზოს საზოგადოებას. მისი დიზაინით შექმნილი შენობები საქვეყნოდაა ცნობილი და ძნელია გამოყო რომელიმე მათგანი. როგორც კი შეხედავ მათ, მიხვდები, რომ მათზე ჰადიდის სტუდია მუშაობდა. შემოქმედების მიმართ საკუთარი ორიგინალური და უკომპრომისო მიდგომიდან გამომდინარე, მისი შთამბეჭდავი მოცულობითი იდეები და ფორმები ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რეალიზაციის გარეშე დარჩა. ჰადიდმა ვერ

შეძლო მცირე ზომის პროექტებზე მუშაობა კერძო პირებისთვის. ამიტომ ის ხდება პედაგოგი „არქიტექტურულ ასოციაციაში“ (1987 წლამდე), აგრძელებს პროექტირებას და მონაწილეობას კონკურსებში.მოგვიანებით კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ ხელი შეუწყო მათ განხორციელებას.

1983 წელს ზაჰა იმარჯვებს მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსში კლუბი "პიკ"-ის პროექტით ჰონგ-კონგში. სწორედ მისი მეშვეობით მიიპყრო ჰადიდმა საზოგადოების ყურადღება, მაგრამ პროექტი შეუსრულებელი დარჩა დამკვეთის გაკოტრების გამო.

1994 წელს, ჰადიდმა ფართო პოპულარობა მოიპოვა დიდ ბრიტანეთში, კარდიფის ოპერის თეატრის პროექტის კონკურსში გამარჯვებთ, მაგრამ დამკვეთმა - საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების ქვეშ - წელიწადნახევრიანი კონფლიქტის შემდეგ უარი თქვა პროექტზე, პროექტის ორიგინალური არქიტექტურული გადაწყვეტილების შიშით.

მისი პირველი რეალიზირებული შენობა იყო სახანძრო სადგური "Vitra" გერმანიაში 90-იან წლებში. თავიდან ბოლომდე მახვილკუთხოვანმა კომპოზიციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არქიტექტურულ თანამეგობრობაზე. სწორედ აქედან დაიწყო ჰადიდის კარიერული წინსვლა. უმნიშვნელო მასშტაბის დეპოს ერთსართულიანმა ნაგებობამ ცხადად აჩვენა ზაჰას პოტენციალი და მას საკულტო არქიტექტორის შესაშური სტატუსი მიანიჭა. შეისრული ფორმის აპრეხილი სახურავის ქვეშ სახნძრო რაზმის ავტომობილთა სადგომია. შენობა მოიცავს ყველა იმ სპეციფიკურ ფუნქციას რაც სახანძრო რაზმს ესაჭიროება. არმირებული ბეტონი და შემინვა ჩარჩოების გარეშე განსაზღვრავს შენობის მინიმალიზმს (თუმცა სახანძრო ნაწილმა დატოვა შენობა).

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1999 წელს, როდესაც დაიწყო როზენტალის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის მშენებლობა ცინცინატში, აშშ (გაიხსნა 2003 წელს) - ამის შემდეგ ჰადიდს იწვევდნენ სამუშაოდ სხვადასხვა ქვეყნებში. ჰადიდის ქმნილებები მასიურად შენდებოდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მისი შემოქმედება იწვევდა აღფრთოვანებას, თუმცა ზოგჯერ პროტესტსაც. მაგალითად-**ჰეიდარ ალიევის ცენტრის** მშენებლობა ბაქოში. 2013 წელს აღმართული, შენობა უკვე გახდა აზერბაიჯანის დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სიმბოლო. არქიტექტორმა შექმნა სივრცე, რომელიც ასრულებს, გარკვეულ ასპექტში ერთმანეთის საწინააღმდეგო ფუნქციებს - აუდიტორია, მუზეუმი, საკონცერტო დარბაზი, საგამოფენო სივრცე და ადმინისტრაციული ოფისები.

ამ შენობით ჰადიდმა მოიგო პრესტიჟული ჯილდო "წლის დიზაინერი“. იგივე პროექტით გაიმარჯვა ლონდონში, კატეგორიაში "არქიტექტურა". ის გახდა პირველი ქალი არქიტექტორი, რომელმაც მიიღო გრან-პრი კონკურსის მთელი 17-წლიანი ისტორიის მანძილზე. თუმცა ეს იყო პროექტი პომელსაც მოყვა მოსახლეობის პროტესტი. ტერიტორიის მოსამზადებლად, ადამიანებს ასახლებდნენ საკუთარი სახლებიდან კუთვნილი კომპენსაციის გარეშე, რომლების დანგრევაც ახალი მშენებლობიდან გამომდინარეც გახდა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ ზაჰა ჰადიდი პირველი ქალი და პირველი მუსლიმი არქიტექტორია, ვინც არქიტექტურის უმაღლესი ჯილდო „პრიცკერი“ მიიღო 2004 წელს, რაც ოსკარის ან ნობელის პრემიის ეკვივალენტია არქიტექტორებისთვის.

ხიდი სარაგოსაში

ჰადიდისთვის ამ პროექტის შთაგონების წყაროდ იქცა დაბრკოლებების დაძლევისა და ბუნების დაპყრობის სურვილი. სწორედ ამ პავილიონი ხიდის გავლით ხვდებოდნენ მნახველები "ექსპო-2008“-ის ტერიტორიაზე. ნაგებობის მოყვანილობა იმეორებს მდინარის ტალღების დინამიკას. ხიდი მთლიანად ფოლადისაა, ფუნდამენტის გამოკლებით-კონსტრუქციის საერთო სიგრძე 530 მეტრია.

პოლიტექნიკური უნივერსიტეტი ჰონგ-კონგში

ამ შენობას უკვე უწოდებენ არქიტექტურულ ორიენტირს, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს ახალგაზრდობის მიზანმიმართულ განვითარებასა და მომავალი თაობების განათლების მაღალ დონეს.

მისი მრუდი ხაზები განსაზღვრავენ არამხოლოდ არქიტექტურული ნაგებობის რიტმს, არამედ მის გარშემო არსებული ლანდშაპტის რიტმსაც, რომელიც მორთულობასთან ერთად ფასადის ელემენტსაც წარმოადგენს.

ZAHA HADID ARCHITECTS -ის პროექტი ქალაქ ESFERA-ს ცენტრისათვის

Zaha Hadid Architects (ZHA) -მა შემოგვთავაზა ალტერნატიული, საზოგადოებაზე ორიენტირებული დიზაინი, რომელიც მოიცავს დაბალსართულიან და მაღალი სიმჭიდროვის საცხოვრებელ სახლებს 981 ბინით. მოცულობა დაპროექტებულია მართკუთხა ნაკვეთის სამ ნაწილში.შენობის თითოეული მხარე, მოცემულ გარემოში საკუთარი ორიენტაციის ოპტიმიზების პროცესში ჩამოყალიბდა. შედეგი მიღწეულია მაცხოვრებლებისთის, მეზობლებისთვის მიმდევრობით განლაგებული, ურთიერთდაკავშირებული შიდა და გარე ეზოების, ბაღებისა და საზოგადოებრივი სივრცეების შექმნით.

მექსიკაში მონტერეი სიდიდით მესამე ქალაქია თავისი კომერციული და საწარმო ცენტრების მნიშვნელოვნებით. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, Huajuco-ს კანიონში განთავსებული ქალაქ Esfera-ს ცენტრის საცხოვრებელი პროექტი მონტერეის სწრაფად მზარდ მოსახლეობას ახალი სახლებით უზრუნველყოფს. Huajuco-ს კანიონი მთათა სისტემებით შემოსაზღვრული გრძელი და ვიწრო ხეობაა, რომელიც ნაკლებად მკაცრ სუბტროპიკულ მიკროკლიმატს ქმნის, ქალაქის ცენტრთან შედარებით, უფრო გრილი ზაფხულითა და ზამთრით, რაც საცხოვრებლებს გარე სივრცეებთან მიმართებაში სრულ უპირატესობას ანიჭებს.

რვაზოლიანი ფედერალური გზატკეცილისა და დაბალი სიმჭიდროვის მქონე გარეუბნის საცხოვრებლების შორის განლაგებული მოცულობა, პასუხობს მოცემული კონტექსტის მრავალფეროვან ურბანულ პირობებს; ტერიროტია ამ დაბალსართულიანი, მაღალი სიმჭიდროვის დასახლებით ინტეგრირდება ახალ კომერციულ ცენტრთან. ადამიანზე ორიენტირებულ მიდგომას, ამ პროექტში, მთავარი ადგილი უკავია.

შენობის გარსი მინიშნებაა ადგილობრივ არქიტექტურულ ენასა და ტრადიციული მექსიკური მჭიდრო მესერის გეომეტრიაზე. ამ მესერის გეომეტრია ფართოდ გამოიყენება მთელი კოლუმბამდელი, კოლონიური და თანამედროვე მექსიკის არქიტექტურის მასშტაბით მზისგან დაცვის, სინათლისა და ჩრდილის მრავალფეროვანი და დინამიკური გამოსახვის მიზნით.

პროექტი მდგრადობის მაღალ სტანდარტებს აღწევს. ყველა გარე ზონის მასალა, რადიაციული ტემპერატურის შემცირების მიზნით, წვიმის წყლის ნიადაგში ჩადინების უნართან ერთად, თავისი გამტარიანობის, მაღალი არეკვლის თვისებისა და დაბალი თერმული მასის გათვალისწინებით შეირჩა. თითოეული აივნის ფორმა განსაზღვრული იქნა ფაქტორებით, რომლებიც მოიცავს კონკრეტულად შენობის ამ ნაწილისთვის მზის რადიაციის კონტროლის უნარს. იგი მოქმედებს მზის დაჩრდილვის სისტემის მსგავსად და თითოეული ბინის ორიენტაციიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით იცვლება, მიუყვება გვერდულად ან ჰორიზონტალურად.

2016 წლის 31 მარტს, ზაჰა ჰადიდი ყველასთვის მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა მაიამის ერთ-ერთ საავადმყოფოში, სადაც იგი ბრონქიტს მკურნალობდა. მისი გარდაცვალება უდიდეს ტრაგედიად და დანაკლისად იქცა მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით კი ZHA-სთვის. გასაკვირი არაა რომ ჩემში, ისევე როგორც საზოგადოების დიდ ნაწილში ინტერესი გამოიწვია განუხორციელებელი დაგეგმილი პროექტებისა და თავად ბიუროს ბედმა. ZHA-მ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ კომპანია მაქსიმალურს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვეულ რიტმში გააგრძელოს მუშაობა ჰადიდის გარდაცვალების შემდეგ. სულ ცოტა ხნის წინ ფირმამ გახსნა პორტი იტალიაში.

სულ ახლახანს მათ გაიმარჯვეს „სბერბანკის“ ტექნოპარკის პროექტის საერთაშორისო კონკურსში-სკოლკოვოს ინოვაციების ცენტრი მოსკოვში.

სბერბანკი-სიდიდით რუსეთის უმსხვილესი და ევროპის მესამე ბანკია. 130,000 კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული პარკი, დაიტევს 12,000 ადამიანს, რომელიც იმუშავებს მისი საინფორმაციო-ტექნოლოგიურ და მარკეტინგის განყოფილებებში.

ქრისტოს პასსასმა, ZHA-ს პროექტირების დირექტორმა განაცხადა: „ინოვაციები და ჩვენთან თანამშრომლობა ფუნდამენტალურ შინაარსს ატარებს სბერბანკისთვის. ჩვენ მიერ, მრავალფუნქციური გარემოს შექმნასთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევამ თვალსაჩინო გახადა სბერბანკის ტექნოპარკის შექმნის აუცილებლობა. იგი შეესაბამება ბანკის მზრდადი კომუნიკაციების, მრავალფეროვნებისა და მასთან თანამშრომლობის მოთხოვნილებებს.“

პროექტის ფარგლებში სამუშაო ურთიერთობები გარდაიქმნება და იძენს საქმისადმი სიღრმისეულ მიდგომას, რაც მიიღწევა მიმზიდველი გარემოს მეშვეობით, რომელიც გთავაზობთ მრავალფეროვან სპექტრს, როგორც შიდა-ასევე გარე ობიექტების აღჭურვილობის.

მშენებლობა უნდა დაიწყოს 18 თვეში და ორ წელიწადში დასრულდება.

სკოლკოვო გააერთიანებს სწრაფად განვითარებადი საინფორმაციო ტექნოლოგიების,ბიომედიცინის, ეჰერგეტიკის, ბირთვული და კოსმოსური მრეწველობის ლაბორატორიებსა და კომპლექსებს.

ZHA აგრძელებს მოღვაწეობას და ჩემი აზრით, ამაყად ატარებს არა მხოლოდ ზაჰა ჰადიდის სახელს არამედ მის მებრძოლ ხასიათსა და შეუპოვარ სულისკვეთებას.

იგი პირველი ქალია, რომელმაც მამაკაცებით სავსე არქიტექტურულ სამყაროში თამამად შეაბიჯა და თანამედროვე არქიტექტურა „თავის ჭკუაზე მოიყვანა“. ზაჰა ჰადიდი უნიკალური ხედვის ადამიანი იყო, მან თავისი ნიჭი არა მხოლოდ შენობების, არამედ ავეჯის დიზაინსა და მოდაშიც წარმატებით გამოვლინა. ის მაღალ ეშელონებში გავლენით სარგებლობდა და ყველაზე ძვირადღირებული პროექტების ავტორიც იყო. ამ გასაოცარმა

ადამიანმა მოახერხა, ღირსეულად დაემკვიდრებინა ადგილი, როგორც ქალ არქიტექტორს მამაკაცებით მართულ პროფესიაში.

ზაჰა ჰადიდი მაგალითია ყველა იმ ქალისთვის, ვისაც წარმატების მიღწევა სურს „მამაკაცების“ პროფესიაში და ეს შეუძლებლად მიაჩნია. მას უამრავი სირთულის გადალახვა მოუწია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეძლო და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის არქიტექტორი გახდა.